


### თავი III

## სახელმწიფო ბიუჯეტის ასიბნეპები

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 12 459 500.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 799 877.8 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 22.5%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 2 630 225.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.9%-ია.

საქართველოს 2011-2018 წლების სახელმწიფო ბიუჯეტების წლიური, კვარტლის გეგმიური და საკასო მაჩვენებლები

(ათას ლარებში)



### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვრა 9 720 893.2 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 2 230 908.3 ათასი ლარი, რაც წლიური

დამტკიცებული შესაბამისი მაჩვენებლის 22.9%-ია. გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 2 093 765.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 93.9%-ია.

### სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 1 628 529.8 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 337 312.5 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 20.7%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 310 617.1 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 92.1%-ია.


### სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა განისაზღვრა 349 995.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 49 975.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული მაჩვენებლის 14.3%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 45 768.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.6%-ია.

### სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება

„საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით სახელმწიფო ბიუჯეტის ვალდებულებების კლება განისაზღვრა 760 082.0 ათასი ლარით. აღნიშნული სახსრებიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილმა დაზუსტებულმა ასიგნებებმა შეადგინა 181 682.0 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული ბიუჯეტის 23.9%-ია. საკასო შესრულებამ შეადგინა 180 104.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.1%-ია.

2018 წლის I კვარტლის ასიგნებების სტრუქტურა  
(საკასო შესრულება)



გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით, სახელმწიფოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების დაფინანსების მიზნით განხორციელდა „სახელმწიფო პენსიის შესახებ“ და „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონებით გათვალისწინებულ ბენეფიციართა უზრუნველყოფა სახელმწიფო პენსიებით და სახელმწიფო კომპენსაციებით. სულ საანგარიშო პერიოდში მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის მიზნით გადარიცხულ იქნა 425.9 მლნ ლარი.
- მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების პროგრამის ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით განხორციელდა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახებისთვის სოციალური დახმარებისა და ბავშვთა ინსტიტუციური დაწესებულებებიდან ბიოლოგიურ ოჯახებში დაბრუნებასთან დაკავშირებული რეინტეგრაციის შემწეობის გაცემა. ასევე, სოციალური პაკეტის დაფინანსება შშმ პირებისთვის, შშმ ბავშვებისთვის, მარჩენალდაკარგულებისთვის და სხვა მოწყვლადი კატეგორიებისათვის, ლტოლვილთა და დევნილთა შემწეობებით უზრუნველყოფა და შრომითი მოვალეობის შესრულებისას დასაქმებულის ჯანმრთელობის ვნების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება, ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე, ახალშობილის შვილად აყვანის გამო დახმარების, საყოფაცხოვრებო სუბსიდიის, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მესამე და ყოველ მომდევნო ცოცხლადშობილი შვილის დაბადების გამო, ასევე, 2016 წლის 1 იანვრიდან დაბადებული ბენეფიციარებისათვის (პირველი, მეორე, მესამე და ყოველი მომდევნო შვილი), რომელთა ერთ-ერთ მშობელს აქვს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივი ცხოვრების პირის სტატუსი ფულადი დახმარების გაცემა. მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარებების გასაცემად საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიმართა სულ 160.4 მლნ ლარი;
- 2016 წლის პირველი სექტემბრიდან ძალაში შევიდა „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შეღავათები, კერძოდ: მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პენსიონერები იღებენ დანამატს პენსიის 20%-ის ოდენობით, ასევე სოციალური პაკეტის მიმღებთათვის დაინიშნა დანამატი სოციალური პაკეტის 20%-ის ოდენობით. გარდა აღნიშნულისა, უზრუნველყოფილია დანამატები მაღალმთიან დასახლებაში მდებარე, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ და მის მართვაში არსებულ სამედიცინო დაწესებულებაში დასაქმებული სამედიცინო პერსონალისთვის (ექიმისთვის – პენსიის ორმაგი ოდენობით, ექთნისთვის – პენსიის ერთმაგი ოდენობით). ასევე, ანაზღაურებულია მაღალმთიან დასახლებებში არსებული აბონენტების მიერ მოხმარებული ელექტროენერჯის საფასურის 50%. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 10.7 მლნ ლარი;
- „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის პროგრამის“ ფარგლებში უწყვეტად ხორციელდება მოსახლეობის, როგორც ამბულატორიული (გადაუდებელი და გეგმური), ასევე სტაციონარული (გადაუდებელი სამედიცინო მომსახურება, გეგმური ქირურგია, ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, მშობიარობა/საკეისრო კვეთა) სამედიცინო დახმარება, ფინანსური და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით. სულ ამ მიზნით საანგარიშო პერიოდში მიმართულ იქნა 179.7 მლნ ლარი;
- საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად (2017 წლის აპრილიდან) მიმდინარეობდა მოსახლეობის უზრუნველყოფა ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტებით. ქვეყნის მასშტაბით დაფინანსდა გულ-სისხლძარღვთა ქრონიკული დაავადებების, ფილტვის ქრონიკულ დაავადებათა, დიაბეტის (ტიპი 2) სამკურნალო და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა სამკურნალო ფარმაცევტული პროდუქტების შესყიდვა;
- საქართველოს თავდაცვის, საქართველოს შინაგან საქმეთა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროების მიერ დაფინანსებულ იქნა მოსამსახურეთა სადაზღვევო პრემიები;

- მიმდინარეობდა სახელმწიფოს დაქვემდებარებაში ყოფილი კომპაქტურად განსახლების ობიექტების დევნილთათვის კერძო საკუთრებაში გადაცემა, რომლის ფარგლებშიც კერძო საკუთრებაში ბინა გადაეცა 409 ოჯახს, თბილისსა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 120 საცხოვრებელი სახლი. განხორციელდა კერძო საკუთრებაში არსებული 17 ბინის გამოსყიდვა, ხოლო სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში შეძენილ იქნა 45 საცხოვრებელი სახლი, 20 ოჯახი უზრუნველყოფილ იქნა საკონპენსაციო თანხით (თითოეულ ოჯახზე 50,0 ათასი ლარის ოდენობით). დასრულდა მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შექმნა თბილისში (76 ბინა). ასევე, დასრულდა ზოგიერთი ობიექტის სარემონტო/სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოები.
- გრძელვადიანი საცხოვრებელით ახალაშენებულ კორპუსებში დაკმაყოფილდა 80 ოჯახი (თბილისში - 40 ოჯახი, დაბა ვაზიანში - 40 ოჯახი); მიმდინარეობდა II ეტაპის მშენებლობა ქ. ქუთაისში (სამი შეწყვილებული თექვსმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი), III ეტაპის მშენებლობა ზუგდიდში (სამი თორმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი), I ეტაპის (ორი ათსართულიანი) საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა წყალტუბოში სოფელ გვიშტიბში და მცხეთაში მდებარე მიწის ნაკვეთებზე ორი ათსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის მშენებლობა, მენაშენებისაგან საცხოვრებელი ბინების შექმნა თბილისში, ბათუმში, ქუთაისში და სამტრედიისში მდებარე შენობების სარეაბილიტაციო სამუშაოები, ასევე, დუშეთის რაიონში, ბაზალეთის ტბის მიმდებარე მდებარე დევნილთა განსახლების ობიექტზე (შვიდსართულიანი კორპუსი) ლიფტის მოწყობის სამუშაოები;
- სოციალური დახმარების სახით, ფინანსური დახმარება გაეწია 721 დევნილს, ასევე სხვადასხვა ნგრევადი და შეჭრილი ობიექტებიდან უკიდურესად გაჭირვებულ 468 ოჯახს საცხოვრებელი ფართების დაქირავების მიზნით (ყოველთვიურად 50 - დან 300 ლარამდე);
- ქვეყნის მასშტაბით არსებული 2 082 საჯარო და 237 კერძო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დასაფინანსებლად მიიმართა 146.5 მლნ ლარი;
- საგანმანათლებლო დაწესებულებების 1 300 მანდატური უზრუნველყოფდა წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვას 2 პროფესიულ სასწავლებელში, 458 საჯარო და 3 კერძო სკოლაში;
- უზრუნველყოფილი იქნა 1 241 საჯარო სკოლის 69 944 მოსწავლის უფასო ტრანსპორტირება სკოლაში, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ დასახლებულ პუნქტში, სადაც არ ფუნქციონირებს სკოლა და სკოლამდე მისასვლელი მანძილი შორია.
- საზოგადოებრივი/პროფესიული და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულებები უზრუნველყოფილნი იქნენ დაფინანსებით, ამ მიზნით მიიმართა 7.6 მლნ ლარი;
- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტების დაფინანსებისა და ახალგაზრდების წახალისების მიზნით მიმართულ იქნა - 29.9 მლნ ლარი;
- „სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის“ მიზნით დაფინანსდა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი და სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ამ მიზნით მიიმართა 4.5 მლნ ლარი;
- თბილისისა და რეგიონების საჯარო და კერძო სკოლები უზრუნველყოფილ იქნენ მულტიმედია-ტექნოლოგიური გუნდის მომსახურებით, 11 სკოლაში ფუნქციონირებდა ინტეგრირებული კლასები, ასევე სპეციალურ საგანმანათლებლო 8 დაწესებულებაში ინდივიდუალური საჭიროებების, ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით სრული სახელმწიფო მომსახურებით ისარგებლა 560-ზე მეტმა ბენეფიციარმა, სულ ინკლუზიური სწავლების დასაფინანსებლად მიმართულ იქნა ერთ მლნ ლარამდე;
- დასრულდა ოთხი მცირეკონტიგენტისანი საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები, 8 საჯარო სკოლის, 2 პროფესიული კოლეჯის, ერთი საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაფინანსება გამოეყო 19 საჯარო სკოლას, სამ პროფესიულ და სამ

უმადლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას სხვადასხვა სახის სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისა და აღჭურვის მიზნით. ამასთან, „ათასწლეულის გამოწვევა საქართველოს – მეორე პროექტის“ ფარგლებში კახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში დასრულდა 6 საჯარო სკოლის რეაბილიტაცია;

- მიღებულ იქნა მონაწილეობა საერთაშორისო მუსიკალურ და თეატრალურ ფესტივალებში, კონკურსებში და გამოფენებში. განხორციელდა სწავლასთან დაკავშირებული ხარჯების დაფინანსება როგორც ქვეყნის, ასევე უცხოეთის წამყვან სახელოვნებო უმაღლეს სასწავლებლებში;
- ხელი შეეწყო საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასების, ძეგლების რეაბილიტაცია/კონსერვაციის საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას;
- ქართული ლიტერატურისა და კულტურის მასშტაბური პოპულარიზაციის საქმეში საეტაპო მნიშვნელობის პროექტის „ფრანკფურტის წიგნის საერთაშორისო ბაზრობაზე საქართველოს წარდგენა“ ფარგლებში ხელი შეეწყო სსიპ - ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის, სსიპ - საქართველოს ეროვნული მუზეუმის, სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის, სსიპ - საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმისა და სსიპ - თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის მიერ განსახორციელებელი სხვადასხვა პროექტების მომზადებას;
- საქართველომ უმასპინძლა ორ მნიშვნელოვან საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებას: ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატი ჭადრაკში და თბილისის გრან-პრი ძიუდოში;
- სპორტის 41 სახეობაში დაფინანსდა 65-მდე ადგილობრივი სპორტული შეჯიბრი, 92-მდე სასწავლო - საწვრთნელი შეკრება, მონაწილეობა იქნა მიღებული 72-მდე საერთაშორისო სპორტულ ასპარეზოებაში. ქართველმა სპორტსმენებმა მოიპოვეს 110 მედალი, მათ შორის 35 ოქრო, 29 ვერცხლი და 46 ბრინჯაო;
- საქართველოში ფეხბურთის განვითარების (2016-2021წწ) სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსდა 79 საფეხბურთო კლუბი (საბაზო დაფინანსება);
- „კულტურისა და სპორტის მოღვაწეთა სოციალური დაცვის ღონისძიებები“ პროგრამის ფარგლებში სტიპენდია გაიცა 33 ოლიმპიურ ჩემპიონზე და 732 სპორტსმენზე, მწვრთნელზე და საექიმო პერსონალზე; ასევე, სტიპენდია გაიცა 148 საქართველოს სახალხო არტისტებზე, სახალხო მხატვრებზე და რუსთაველის პრემიის ლაურიატებზე.
- „სპორტის ინფრასტრუქტურის, რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლება“ ქვეპროგრამის ფარგლებში რაგბისა და ფეხბურთის სახეობების განვითარების მიზნით მიმდინარეობდა თბილისში - 7, ხოლო ქუთაისში - 3 სტანდარტული ბუნებრივ და ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა;
- ანაზღაურებულ იქნა ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან სოფლებში (სეთურნი, ზაქათკარი, ჯალმიანი, ბედონი, ბენიან-ბეგონი, იუხო, მუდურუ, წკერე, ციხიანი, სვიანა-როსტიანი და ქოროლო, აგრეთვე იმ სოფლებში, რომელთაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მაღალმთიანი დასახლების სტატუსი მიენიჭათ) მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის (5.5 ათასზე მეტი აბონენტი) მიერ 2017 წლის 1 დეკემბრიდან 2018 წლის 1 თებერვლამდე პერიოდში მოხმარებული 4.4 მლნ მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის ღირებულება 2.5 მლნ ლარის ოდენობით;
- საირიგაციო და დამშრობი (დრენაჟი) სისტემების, ჰიდროტექნიკური ნაგებობის რეაბილიტაციის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, მანქანა დანადგარების შეძენის, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მიმდინარე ტექნიკური ექსპლუატაციის, მექანიკური სატუმბო სადგურების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის, სამელიორაციო დანიშნულების ტექნიკის, სატრანსპორტო საშუალებებისა და სხვა მანქანა-მექანიზმების მოვლა-შენახვის ღონისძიებების დაფინანსების, საირიგაციო და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესების, სხვადასხვა მოცულობის გრანტების გაცემის მიზნით მიიმართა 8.3 მლნ ლარი;

- შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში მიმდინარეობდა მეწარმეთა უზრუნველყოფა იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით, პროექტში მონაწილე კომერციული ბანკების და საფინანსო ინსტიტუტების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება, დადგენილი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. საანგარიშო პერიოდში გაცემულია 1 სესხი - 10.0 ათასი აშშ დოლარის და 463 სესხი 28.4 მლნ ლარის ოდენობით. სულ გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთების თანადაფინანსების თანხამ შეადგინა 14.7 მლნ ლარი;
- „დანერგე მომავლის“ პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში დამტკიცებულია 591 ჰექტარზე გასაშენებელი 116 ბაღის პროექტი. აღნიშნულის დაფინანსების მიზნით მიიმართა 2.3 მლნ ლარი;
- ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვა და იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის ფარგლებში ეპიზოოტიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობდა იძულებითი და პროფილაქტიკური ვაქცინაცია: ცოფის, ჯილეხის, ნოდულარული დერმატიტის, წვრილფეხა პირუტყვის ჭირის, ბრუცელოზის, თურქულის, საწინააღმდეგოდ. ასევე, მიმდინარეობდა ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია;
- „გარემოსდაცვითი ზედამხედველობის“ ფარგლებში გარემოსდაცვითი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით განხორციელებული იქნა რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) 450 ინსპექტირება (არაგეგმიური შემოწმება, დათვალიერება-შესწავლა), მათ შორის 60 - საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების;
- დაცულ ტერიტორიებზე განხორციელებული ვიზიტორთა სტატისტიკური აღრიცხვის საფუძველზე, სამი თვის მდგომარეობით ვიზიტორთა რაოდენობამ შეადგინა 55.5 ათასი პირი, მათ შორის 24.6 ათასი - უცხოელი, რაც 39%-ით აღემატება 2017 წლის პირველ კვარტალში ვიზიტორთა რაოდენობას. ამასთან, პროგრამის ფარგლებში დასრულდა ყაზბეგის და ალგეთის ეროვნული პარკის ადმინისტრაციისა და ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა და მიმდინარეობდა კინტრიშის დაცული ტერიტორიების საგამოფენო დარბაზის მოწყობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე, გზების მოვლა-შენახვაზე, ახალი მაგისტრალების, შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების მშენებლობაზე დახარჯულ იქნა 148.9 მლნ ლარი, მათ შორის:
  - ✓ საავტომობილო გზების რეაბილიტაცია - 19.0 მლნ ლარი;
  - ✓ საავტომობილო გზების პერიოდული-მიმდინარე შეკეთება და შენახვა ზამთრის პერიოდში - 20.2 მლნ ლარი;
  - ✓ ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობა - 76.1 მლნ ლარი.
- სსიპ - საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალური ინფრასტრუქტურის (მათ შორის წყლის და საკანალიზაციო) განვითარებისათვის დახარჯულ იქნა 50.9 მლნ ლარი, მათ შორის:
  - ✓ მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამაზე - 12.1 მლნ ლარი;
  - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი I ნაწილი (კახეთი) პროექტზე - 1.4 მლნ ლარი;
  - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი II (იმერეთი) პროექტზე - 0.8 მლნ ლარი;
  - ✓ რეგიონალური განვითარების პროექტი III (მცხეთა-მთიანეთი და სამცხე-ჯავახეთი) - 2.2 მლნ ლარი;
  - ✓ რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი II - 2.7 მლნ ლარი;
  - ✓ საქართველოს ურბანული რეკონსტრუქციის და განვითარების პროექტი - 11.6 მლნ ლარი;
  - ✓ მთის კურორტებზე ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია - 10.8 მლნ ლარი.

- წყალმომარაგების ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის პროექტების ფარგლებში (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით) ძირითადად მიმდინარეობდა:
  - ✓ წალკის, ქარელის, ბოლნისის, ხობის, ზესტაფონის, ლაგოდეხის, თელავის სოფელ კურდღელაურის წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია;
  - ✓ წალკის, ბოლნისის, ლიკანისა და წალვერის წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია;
  - ✓ მიმდინარეობდა თელავის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის სამშენებლო სამუშაოები და წყალტუბოს წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა;
  - ✓ ქუთაისში რეზერვუარის, სატუმბო სადგურის, მაგისტრალური მილსადენისა და გამანაწილებელი ქსელების მშენებლობა;
  - ✓ ზუგდიდის სასმელი წყლის სისტემის, კერძოდ: გამანაწილებელი ქსელის, ბაშის რეზერვუარის, ინგირის სატუმბო სადგურის და 9 ჭაბურღილის მშენებლობა;
  - ✓ ურეკის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და შიდა გზების მოწყობის სამუშაოები.

აღნიშნული ღონისძიებების დასაფინანსებლად საანგარიშო პერიოდში მიმართული იქნა 25.7 მლნ ლარი, მათ შორის წყლის ინფრასტრუქტურის განახლებაზე - 3.1 მლნ ლარი, წყალარინების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობაზე - 3.5 მლნ, ხოლო ურბანული მომსახურების გაუმჯობესებაზე - 19.0 მლნ ლარი;
- საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისა და ცნობადობის ამაღლების მიზნით მოეწყო 20 პრეს და გაცნობითი ტური მსოფლიოს სხვადასხვა მიზნობრივი ქვეყნებიდან მოწვეული ჟურნალისტებისა და ტუროპერატორებისათვის, მიმდინარეობდა სარეკლამო კამპანია საერთაშორისო ტელეარხ „Euronews“-ზე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გაიმართა პრეზენტაციები/შეხვედრები საქართველოს ტურისტული პოტენციალის გაცნობისა და ქვეყანაში საქმიანი ტურიზმის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესახებ, საქართველო წარმოდგენილ იქნა ქ. ბერლინში გამართულ ფესტივალზე „Berlin Travel Festival“, საქმიანი ტურიზმის გამოფენაზე „IBTM Arabia 2018“ და ასევე, 9 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაზე („FITUR“ (მადრიდი); „EMITT“ (სტამბული); „IMTM“ (თელავივი); „ITB“ (ბერლინი); „UITT“ (კიევი); „Matka 2018“ (ფინეთი); „Tourest 2018“ ტალინი); „International Tourism Trade Show 2018“ (ვროცლავი) და „Green Week 2018“ (ბერლინი));
- 2018 წლის იანვარ-მარტის პერიოდში საქართველოს ეწვია 1 463 561 საერთაშორისო მოგზაური, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 15.5%-ით. მათ შორის, იმ უცხოელი მოგზაურების რიცხვმა, რომლებმაც 24 საათი და მეტი დაჰყვეს საქართველოში შეადგინა 659 338, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე მეტია 28.2%-ით;
- სახელმწიფო ქონების ეკონომიკურ აქტივობაში ჩართვის მიზნით, სახელმწიფო უწყებებს/საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს გადაეცა 19 უძრავი ქონება, ხოლო 245 ობიექტი - თვითმმართველ ერთეულებს;
- სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ 646 უძრავი ქონება გადასცა იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებს;
- „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში სსიპ-აწარმოე საქართველოში მიერ გაფორმდა ხელშეკრულებები 17 ბენეფიციარ კომპანიასთან კრედიტისა და ლიზინგის საგნის პროცენტის თანადაფინანსებზე (ინდუსტრიულ ნაწილში - 11 ბენეფიციარ კომპანიასთან და სასტუმროს ინდუსტრიის ხელშეწყობის მიმართულებით 6 ბენეფიციარ კომპანიასთან). აღნიშნული ბენეფიციარებიდან საბანკო სესხის კომპონენტით ისარგებლა 16-მა ბენეფიციარმა, ხოლო ლიზინგის კომპონენტით - ერთმა ბენეფიციარმა. ტექნიკური მხარდაჭერის კომპონენტის ფარგლებში პროგრამის 4 ბენეფიციარ კომპანიას აუნაზღაურდა გაწეული მომსახურების ხარჯი. აღნიშნულ კომპანიებზე კომერციული ბანკებიდან დამტკიცებულმა სესხის მოცულობამ შეადგინა 6.3 მლნ ლარი, ხოლო კომპანიების მხრიდან განსახორციელებელი ჯამური ინვესტიციის მოცულობამ გადააჭარბა 9.5 მლნ ლარს;

- საქართველომ დიპლომატიური ურთიერთობა დაამყარა ბარბადოსთან. საანგარიშო პერიოდში ძალაში შევიდა 15 ორმხრივი და 4 მრავალმხრივი ხელშეკრულება და შეთანხმება; გაფორმდა 7 შეთანხმება საერთაშორისო ორგანიზაციებთან;
- საქართველოს მიერ განხორციელებულ იქნა ყოველწლიური საწევრო შენატანი სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში, საერთაშორისო ორგანიზაციების ფარგლებში არსებულ ფონდებსა და სამშვიდობო მისიებში;
- საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმება მოლდოვას რესპუბლიკასთან. ხელი მოეწერა საქართველოსა და საუდის არაბეთს შორის შემოსავლებსა და კაპიტალზე ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ შეთანხმებას;
- „საქართველოს მთავრობის საქართველოს ეროვნული ბანკისადმი დავალიანების დაფარვის ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ეროვნული ბანკის 2006 წლის 20 მარტის შეთანხმებაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმების შესაბამისად 2018 წლის 15 მარტს განხორციელდა საქართველოს მთავრობის მიერ 2017 წლის 15 მარტს გამოშვებული 320 846.0 ათასი ლარის სახელმწიფო ობლიგაციების განახლება 280 846.0 ათასი ლარის ოდენობით, წლიური 7.259 საპროცენტო განაკვეთით და 40 000.0 ათასი ლარის გადაფორმება სახელმწიფო ობლიგაციებად ღია ბაზრის ოპერაციებისათვის, საიდანაც:
  - ✓ 10 000.0 ათასი ლარი გადაფორმდა წლიური განაკვეთით 7.750%;
  - ✓ 8 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 7.750%;
  - ✓ 12 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 7.875%;
  - ✓ 10 000.0 ათასი ლარი წლიური განაკვეთით 7.875%.

ასევე, ზემოაღნიშნული შეთანხმების შესაბამისად, 2018 წლის 15 მარტს განხორციელდა 2013 წლის 15 მარტს გამოშვებული „ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“ დაფარვა 5 000.0 ათასი ლარის ოდენობით.

- მიმდინარე წლიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირველად ბაზარზე ე. წ. ბენჩმარკ ბონდების რეგულარულ ემისია დაიწყო. I კვარტლის განმავლობაში განხორციელდა 235.0 მლნ ლარის სახაზინო ობლიგაციების (2, 5 და 10 წლის ვადის მქონე) ემისია, რაც სრულად ბენჩმარკ ბონდებს წარმოადგენს. აღნიშნული ინსტრუმენტი წარმოადგენს გამსხვილებულ ემისიებს წინასწარ ცნობილი პერიოდულობით და თანაბარი მოცულობებით (ერთიანი დაფარვით). საქართველოს ბაზრის სიდიდის გათვალისწინებით თითოეული ვადიანობისთვის ბენჩმარკ ბონდის მოცულობა განისაზღვრა დაახლოებით 240.0 მლნ ლარით. ბენჩმარკ ბონდები ზრდის ინვესტორების დაინტერესებას საქართველოს მთავრობის ფასიანი ქაღალდების მიმართ და ხელს უწყობს ბაზრის განვითარებას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ლიკვიდურობის ზრდას.
- საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობდა პოლიტიკური პარტიებისათვის გამოყოფილი თანხების განაწილების უზრუნველყოფა, დაფინანსდა 19 პოლიტიკური პარტია;
- გრძელდებოდა ქართული ქვედანაყოფების მონაწილეობის მიღება ავღანეთში ნატო-ს სამშვიდობო მისიაში „მტკიცე მხარდაჭერის მისია (RSM, QRF)“, ასევე, ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვნელ მისიაში (EUTM RCA) და მალის რესპუბლიკაში ევროკავშირის საწრთვნელ მისიაში (EUTM Mali);
- საანგარიშო პერიოდში საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებზე დაწესებული ერთდროული ფულადი პრემიები გაიცა 16 დაჯილდოებულ პირზე. ამ მიზნით მიიმართა 23.8 ათასი ლარი.



## სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

„შრომის ანაზღაურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 342 426.1 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 322 356.9 ათასი ლარი (წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკასო ხარჯი შემცირდა 13 124.7 ათასი ლარით), რაც გეგმიური მაჩვენებლის 94.1%-ს შეადგენს. „შრომის ანაზღაურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 15.4%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 12.3%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განსაზღვრულ იქნა 307 547.9 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 257 593.4 ათასი ლარი, რაც გეგმის 83.8%-ს შეადგენს. „საქონელი და მომსახურების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 12.3%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების 9.8%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ კატეგორიიდან ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით გაწეული დანარჩენი ხარჯების სტრუქტურა შემდეგია:

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 42 650.2 ათასი ლარი;
- მივლინება - 16 344.3 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები - 43 761.8 ათასი ლარი;
- წარმომადგენლობითი ხარჯები - 3 443.6 ათასი ლარი;
- კვების ხარჯები - 16 673.1 ათასი ლარი;
- სამედიცინო ხარჯები - 5 864.2 ათასი ლარი;
- რბილი ინვენტარის, უნიფორმისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯები - 5 205.2 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები - 31 274.5 ათასი ლარი;
- სამხედრო ტექნიკისა და ტყვია-წამლის შექმნის ხარჯები - 8 519.7 ათასი ლარი;
- სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება - 83 856.8 ათასი ლარი.

„პროცენტის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 128 435.8 ათასი ლარი (დაზუსტებული გეგმის 99.0%), რაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 4.9%-ს შეადგენს. პროცენტის მუხლიდან საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიმართული იქნა 46 057.3 ათასი ლარი, ხოლო საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე 82 340.5 ათასი ლარი.

„სუბსიდიების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა 109 331.6 ათასი ლარით. ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 93 879.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 85.9%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 3.6%-ს შეადგენს.

სუბსიდიის მუხლიდან ძირითადად დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი პროგრამები, როგორცაა:

- ✓ სპორტის განვითარების ხელშეწყობა - საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ დონისძიებებზე საანგარიშო პერიოდში ჯამურად მიიმართა 28 968.7 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 91.5%-ს შეადგენს;
- ✓ ერთიანი აგროპროექტი - ჯამურად მიიმართა 17 173.3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.8 %-ს შეადგენს;

- ✓ საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 9 232.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 103.2 %-ს შეადგენს.
- ✓ მეწარმეობის განვითარება - ჯამურად მიიმართა 4 500.0 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0 %-ს შეადგენს;
- ✓ რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ხაზით აღნიშნულ ღონისძიებაზე ჯამურად მიიმართა 4 196.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86.2 %-ს შეადგენს.

„გრანტების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 231 899.8 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური მაჩვენებლის (245 002.6 ათასი ლარი) 94.7%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 8.8%-ს შეადგენს.


„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით საანგარიშო პერიოდში საკასო შესრულებამ შეადგინა 832 235.2 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული გეგმიური პარამეტრის (853 220.8 ათასი ლარი) 97.5%-ს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების 31.6%-ს შეადგენს.

სოციალური უზრუნველყოფის მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ✓ მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 425 896.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.6%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვა - აღნიშნული მიზნით მიიმართა 178 718.6 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 100.0%-ს შეადგენს;
- ✓ მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 160 351.8 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 97.3%-ს შეადგენს;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის და მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება პრიორიტეტულ სფეროებში პროგრამები - აღნიშნული მიზნით ჯამურად მიიმართა 40 926.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 80.1%-ს შეადგენს;

### 2018 წლის I კვარტლის ხარჯების სტრუქტურა

(საკასო შესრულება)




„სხვა ხარჯების“ მუხლით საანგარიშო პერიოდში დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 243 579.3 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო საკასო ხარჯი გაწეული იქნა 227 364.7 ათასი ლარის მოცულობით, რაც გეგმის 93.3%-ს. „სხვა ხარჯების“ მუხლის საკასო შესრულება „ხარჯების“ საკასო შესრულების 10.9%-ია, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელების - 8.6%-ს შეადგენს.

„სხვა ხარჯების“ მუხლიდან დაფინანსებული იქნა ისეთი მნიშვნელოვანი ღონისძიებები, როგორცაა:

- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაფინანსება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 146 467.5 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.9%-ს შეადგენს;
- სახელმწიფო სასწავლო, სამაგისტრო გრანტები და ახალგაზრდების წახალისება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 29 900.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.0%-ს შეადგენს;
- პროფესიული განათლება - აღნიშნული მიზნით მიიმართა 5 516.9 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 99.7%-ს შეადგენს;

### სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრილში

2017-2018 წლების I კვარტლების ფაქტიური შესრულება  
ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით



701 - საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, 702 - თავდაცვა, 703 - საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება, 704 - ეკონომიკური საქმიანობა, 705 - გარემოს დაცვა, 706 - საბინაო - კომუნალური მეურნეობა, 707 - ჯანმრთელობის დაცვა, 708 - დასვენება, კულტურა და რელიგია, 709 - განათლება, 710 - სოციალური დაცვა

შენიშვნა: 701\* - გათვალისწინებული არ არის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გადასაცემი ტრანსფერები

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 467 407.6 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 436 457.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 93.4%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 18.2%. მათ შორის:
  - ✓ აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფის, ფინანსური და ფისკალური საქმიანობის, საგარეო ურთიერთობების დაფინანსებამ შეადგინა 79 700.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (95 282.0 ათასი ლარი) 83.6%-ია;
  - ✓ საერთო დანიშნულების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 6 694.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 467.2 ათასი ლარი) 89.7%-ია;
  - ✓ ვალთან დაკავშირებულ ოპერაციებზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 129 811.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (132 710.2 ათასი ლარი) 97.8%-ია;
  - ✓ საერთო დანიშნულების ფულადი ნაკადების დაფინანსებამ მთავრობის სხვადასხვა დონეებს შორის შეადგინა 212 011.4 ათასი ლარი, ანუ გეგმის (220 586.4 ათასი ლარი) 96.1%-ია;
  - ✓ საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 8 239.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 361.9 ათასი ლარი) 72.5%-ია.
  
- თავდაცვის ღონისძიებების დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 268 881.9 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 237 918.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 88.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 9.9%. მათ შორის:
  - ✓ შეიარაღებული ძალების დაფინანსებამ შეადგინა 144 517.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (161 842.8 ათასი ლარი) 89.3%;
  - ✓ საგარეო სამხედრო დახმარების დაფინანსებამ შეადგინა 8 345.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (14 079.3 ათასი ლარი) 59.3%;
  - ✓ თავდაცვის სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 5 865.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (7 175.9 ათასი ლარი) 81.7%-ს შეადგენს;
  - ✓ სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ თავდაცვის სფეროში შეადგინა 79 190.3 ათასი ლარი, რაც დაგეგმილი მაჩვენებლის (85 783.9 ათასი ლარი) 92.3%-ია.
  
- საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში დაგეგმილ იქნა 262 353.3 ათასი ლარი. საკასო შესრულებამ შეადგინა 241 004.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 91.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.0%. მათ შორის:
  - ✓ პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 132 906.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (141 261.5 ათასი ლარი) 94.1%;
  - ✓ სახანძრო სამაშველო სამსახურის დაფინანსებამ შეადგინა 12 602.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (14 954.5 ათასი ლარი) 84.3%;
  - ✓ სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსებამ შეადგინა 26 855.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (31 601.5 ათასი ლარი) 85.0%-ს შეადგენს;
  - ✓ სასჯელაღსრულების დაწესებულებებზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 30 693.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (31 811.0 ათასი ლარი) 96.5%-ს შეადგენს;
  - ✓ საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 37 946.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 724.8 ათასი ლარი) 88.8%-ს შეადგენს.

• ეკონომიკური საქმიანობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 273 314.2 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 243 826.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 89.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების 10.1%. მათ შორის:

- ✓ საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 11 110.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (12 852.4 ათასი ლარი) 86.4%;
- ✓ სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსებამ შეადგინა 35 685.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (37 133.0 ათასი ლარი) 96.1%-ს შეადგენს;
- ✓ სათბობზე და ენერგეტიკაზე გაწეულმა დაფინანსებამ შეადგინა 2 520.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (5 490.2 ათასი ლარი) 45.9%-ს შეადგენს;
- ✓ სამთომომპოვებელ და გადამამუშავებელ მრეწველობაზე და მშენებლობაზე მიმართულ იქნა 253.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (303.5 ათასი ლარი) 83.3%;
- ✓ ტრანსპორტის დაფინანსებამ შეადგინა 151 794.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (158 985.0 ათასი ლარი) 95.5%;
- ✓ ეკონომიკის სხვა დარგების დაფინანსებამ შეადგინა 37 376.5 ათასი ლარი, ანუ გეგმის (47 687.1 ათასი ლარი) 78.4%;
- ✓ ეკონომიკური საქმიანობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 5 086.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 863.0 ათასი ლარი) 46.8%-ს შეადგენს.

• გარემოს დაცვის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილ იქნა 18 133.4 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ შეადგინა 14 509.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 80.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.6%. მათ შორის:

- ✓ გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის დაფინანსებამ შეადგინა 208.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (240.7 ათასი ლარი) 86.8%-ს შეადგენს;
- ✓ ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 4 138.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (6 686.8 ათასი ლარი) 61.9%-ს შეადგენს;
- ✓ გარემოს დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 10 162.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (11 205.9 ათასი ლარი) 90.7%-ს შეადგენს.

• საბინაო-კომუნალური მეურნეობის სფეროს დასაფინანსებლად დაგეგმილი იყო 6 382.6 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 5 544.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.9%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 0.2%. მათ შორის:

- ✓ კომუნალური მეურნეობის განვითარების დაფინანსებამ შეადგინა 1 029.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (4 118.1 ათასი ლარი) 25.0%-ს შეადგენს;
- ✓ წყალმომარაგების დაფინანსებამ შეადგინა 996.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 134.5 ათასი ლარი) 87.8%-ს შეადგენს;
- ✓ საბინაო კომუნალური მეურნეობის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 3 518.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (1 130.0 ათასი ლარი) 311.4%-ს შეადგენს.

• ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განისაზღვრა 262 103.3 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 248 455.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 94.8%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 10.3%. მათ შორის:

- ✓ სამედიცინო პროდუქციის, მოწყობილობების და აპარატების დაფინანსებამ შეადგინა 1 049.8 ათასი ლარი, ანუ გეგმის (4 957.5 ათასი ლარი) 21.2%;
- ✓ ამბულატორიული მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 190 670.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (191 667.4 ათასი ლარი) 99.5%-ს შეადგენს;
- ✓ საავადმყოფოების მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 35 740.7 ათასი ლარი, ანუ გეგმის (39 722.5 ათასი ლარი) 90.0%;
- ✓ საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 7 980.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (10 629.4 ათასი ლარი) 75.1%-ს შეადგენს;
- ✓ ჯანმრთელობის დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 13 014.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 126.5 ათასი ლარი) 86.0%-ს შეადგენს.

- დასვენების, კულტურის და რელიგიის სფეროს დასაფინანსებლად განსაზღვრული იყო 81 947.8 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 69 257.6 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 84.5%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 2.9%. მათ შორის:

- ✓ დასვენებისა და სპორტის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 31 729.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (34 785.6 ათასი ლარი) 91.2%;
- ✓ კულტურის სფეროში მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 19 654.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (27 369.5 ათასი ლარი) 71.8%-ს შეადგენს;
- ✓ ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 14 676.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 924.2 ათასი ლარი) 92.2%-ს შეადგენს;
- ✓ რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობის დაფინანსებამ შეადგინა 192.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (200.0 ათასი ლარი) 96.3%-ს შეადგენს;
- ✓ დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 3 003.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (3 668.5 ათასი ლარი) 81.9%-ს შეადგენს.

- განათლების სფეროს დასაფინანსებლად გეგმამ შეადგინა 278 730.3 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ კი - 270 389.5 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 97.0%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 11.2%. მათ შორის:


- ✓ ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 148 275.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (148 519.5 ათასი ლარი) 99.8%-ს შეადგენს;
- ✓ პროფესიული განათლების დაფინანსებამ შეადგინა 9 371.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (10 041.5 ათასი ლარი) 93.3%;
- ✓ უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 41 003.0 ათასი ლარი, რაც გეგმის (42 126.1 ათასი ლარი) 97.3%-ს შეადგენს;
- ✓ უმაღლესის შემდგომი განათლების დაფინანსებამ შეადგინა 260.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (358.0 ათასი ლარი) 72.8%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროს დამხმარე მომსახურების დაფინანსებამ შეადგინა 13 447.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (13 983.7 ათასი ლარი) 96.2%-ს შეადგენს;
- ✓ განათლების სფეროში გამოყენებითი კვლევების დაფინანსებამ შეადგინა 11 651.7 ათასი ლარი, რაც გეგმის (12 796.5 ათასი ლარი) 91.1%-ს შეადგენს;

✓ განათლების სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 46 380.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (50 875.0 ათასი ლარი) 91.2%-ს შეადგენს.

• სოციალური დაცვის სფეროს დასაფინანსებლად გეგმა განსაზღვრული იყო 648 966.4 ათასი ლარი, საკასო შესრულებამ შეადგინა 637 019.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 98.2%, ხოლო სულ ხარჯები და არაფინანსური აქტივების ზრდის საკასო შესრულების - 26.5%. მათ შორის:

- ✓ ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 458.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (1 812.0 ათასი ლარი) 25.3%;
- ✓ ხანდაზმულთა სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 433 204.5 ათასი ლარი, რაც გეგმის (434 816.7 ათასი ლარი) 99.6%-ს შეადგენს;
- ✓ ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის დაფინანსებამ შეადგინა 163 487.2 ათასი ლარი, ანუ გეგმის (169 006.6 ათასი ლარი) 96.7%;
- ✓ საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაფინანსებამ შეადგინა 2 770.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის (3 043.7 ათასი ლარი) 91.0%;
- ✓ სოციალური გაუცხოების საკითხების, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას, დაფინანსებამ შეადგინა 24 407.6 ათასი ლარი, ანუ გეგმის (24 447.1 ათასი ლარი) 99.8%;
- ✓ სოციალური დაცვის სფეროში სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობის ასიგნებების დაფინანსებამ შეადგინა 12 690.2 ათასი ლარი, რაც გეგმის (15 840.4 ათასი ლარი) 80.1%-ს შეადგენს.

2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 3 თვის დაფინანსების სტრუქტურა ფუნქციონალურ კრილიში





## საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდი

საქართველოს მთავრობის განკარგულებებით და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებებით საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან ნორმატიული აქტებით გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ შეადგინა 18 689.7 ათასი ლარი, ხოლო საკასო შესრულებამ - 3 809.9 ათასი ლარი.

ლარებში

დოკუმენტის თარიღი და ნომერი	თანხის გაცემის მიზანი	ნორმატიული აქტით გამოყოფილი თანხა	გამოყოფილი თანხა	საკასო ხარჯი	გადახრა
<b>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</b>		<b>3,338,179.4</b>	<b>250,486.5</b>	<b>250,486.5</b>	<b>0.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N269 02.02.18.	საქართველოს მთავრობის ცალკეულ უწყებებსა და აშშ-ის ადმინისტრაციასთან ურთიერთობების უკეთ წარმართვისა და საქართველოში ამერიკული ინვესტიციების მოზიდვის მიზნით აუცილებელი საკონსულტაციო მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად	260,167.0	76,563.1	76,563.1	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N270 02.02.18.	საქართველოს მთავრობის ევროკავშირის ინსტიტუტებსა და ნატოსთან პარტნიორობის გადრმავეების მიზნით საკონსულტაციო მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად	1,025,479.5	0.0	0.0	0.0
საქართველოს მთავრობის განკარგულება N271 02.02.18.	საქართველოს მთავრობის ცალკეულ უწყებებსა და აშშ-ის ადმინისტრაციასთან ურთიერთობების უკეთ წარმართვისა და საქართველოში ამერიკული ინვესტიციების მოზიდვის მიზნით საკონსულტაციო მომსახურების შეძენის ხარჯების დასაფინანსებლად	2,052,532.9	173,923.4	173,923.4	0.0
<b>საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო</b>		<b>2,358,200.0</b>	<b>2,358,200.0</b>	<b>0.0</b>	<b>2,358,200.0</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N179 25.01.18.	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამოყოფილ ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით	2,358,200.0	2,358,200.0	0.0	2,358,200.0
<b>საქართველოს იუსტიციის სამინისტრო</b>		<b>11,282,965.5</b>	<b>2,662,600.5</b>	<b>2,662,595.8</b>	<b>4.7</b>
საქართველოს მთავრობის განკარგულება N251 02.02.18.	საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების - საქართველოს პროკურატურის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით იურიდიული კომპანიებისა და სისხლის სამართლის დარგის სპეციალისტებისაგან იურიდიული მომსახურების შესყიდვის, სათანადო ცოდნის მქონე ექსპერტების მიერ საქართველოსა და უცხო სახელმწიფოს საექსპერტო დაწესებულებებში შესაბამისი კვლევების ჩატარების, სათანადო კვალიფიკაციის მქონე ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების მოძიებაში დახმარებისა და შესაბამისი კონსულტაციის გაწევის, აგრეთვე, აღნიშნული პირების ვიზიტებთან დაკავშირებული ხარჯებისა და ხსენებულ ღონისძიებათა ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი გადასახადების დასაფინანსებლად	1,407,595.2	0.0	0.0	0.0
